4

ქართული

მოსწავლის წიგნი

ნაწილი II

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

შინაარსი

თავი 5.

ადამიანი და ცხოველი 7

ანდროკლე და ლომი *იაკობ გოგებაშვილი* 8
გრამატიკა. ზმნა და ახლანდელი დრო 10
წიქარა (ნაწყვეტი ქართული ხალხური ზღაპრიდან) *ხალხური* 11
გრამატიკა. აწმყო, წარსული და მომავალი 13
მოხუცი და ბროლია *ტარიელ ხავთასი* 14
მხატვრობა და ფოტოხელოვნება 16

თავი 6.

სახალისო ამბები 19

მელა და ყურძენი (იგავ-არაკი) *ივანე კრილოვი* 20
გრამატიკა. სახალისო საკითხავი 21
ჭკვიანი ყვავი *იაკობ გოგებაშვილი* 22
გრამატიკა. რიცხვში მონაცვლე ზმნები 24
ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი *რუდოლფ ერიხ რასპე* 25
თეორია. თხრობის ხერხი – ცოცხალი ტყუილი 28
ცოცხალი ტყუილები *ხალხური* 29
გრამატიკა. რიცხვითი სახელი 30

თავი 7.

იყო და არა იყო რა 31

ოქროსტარიანი ცული *ხალხური* 32
გრამატიკა. რიცხვითი სახელის მართლწერა 35
მეფე და სკვინჩა *ხალხური* 36
თეორია. ზღაპარი 39
გრამატიკა. ზედსართავი სახელი 40
საგნის აღწერა 41

თავი 8.

იგავ-არაკები 42

უკან მიდევნებული ლამპარი *სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით* 43
ენით დაკოდილი *სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით* 44
მგელი და კრავი *ივანე კრილოვი* 46
თეორია. დიალოგი 48
გრამატიკა. ზედსართავისა და არსებითი სახელების ბრუნება. . . 49

თავი 9.

კარგი და ცუდი 50

მოთხრობები წმინდა ზნეობაზე *იაკობ გოგებაშვილი* 51
გრამატიკა. სიტყვის შერჩევა 56
თავდადებული მღვდელი თევდორე
(ისტორიული მოთხრობა) *იაკობ გოგებაშვილი* 57
გრამატიკა. ზმნა და ზმნიზედა 60
ორი ლექსი *ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე* 61
საცოდავი თრიები (მოსწავლის ჩანაწერი) *რევაზ ინანიშვილი* 62
განთავისუფლება *რევაზ ინანიშვილი* 65
გრამატიკა. ნაცვალსახელი 67

თავი 10.

თარგმნის ხელოვნება 68

თვითონაც არ ვიცით, რას ვშვრებით
(ნაწყვეტი წიგნიდან „ბულერბიელი ბავშვები“) *ასტრიდ ლინდგრენი* . . . 69
თეორია. თარგმანი 72

თავი 11.

სამშობლო და პოეტები 73

გიორგი ლეონიძე (ბიოგრაფიული ცნობები) 74
გრამატიკა. ჩვენებითი ნაცვალსახელი 75
ძველი საქართველო *გიორგი ლეონიძე* 76
მხოლოდ შენ *გიორგი ლეონიძე* 76
მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“ *გიორგი ლეონიძე* 77
გრამატიკა. თხრობითი და კითხვითი წინადადებები 78
თეორია. განმარტებითი ლექსიკონი 79

თავი 12.

დიდები და პატარები 80

გაიცანით ბიძია სევა *დავით ჯავახიშვილი* 81
გრამატიკა. ძახილის ნიშანი 88
ჩვენი ყოჩაღი სკვინჩა *რევაზ ინანიშვილი* 89
გრამატიკა. საკუთარი სახელები 93
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი *იაკობ გოგებაშვილი* 94
ლექსიკონი 97

თავი 5

მე-

ადამიანი და ცხოველი

მადლიერმა ირემმა გამოიძრო ბალანი, მისცა ვაჟს და უთხრა: „რადგან ასეთი სიკეთე მიყავი, აი, ეს ჩემი ბალანი შენთვის მომიცია. როცა ძალიან გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე, მაშინვე შენთან გავჩნდები და გიშველიო“.

ქართული ხალხური ზღაპრიდან

აქ შეისწავლი...

- ანდროკლე და ლომი
  გრამატიკა. ზმნა და ახლანდელი დრო
- წიქარა (ნაწყვეტი ქართული ხალხური ზღაპრიდან)
  გრამატიკა. აწმყო, წარსული და მომავალი
- მოხუცი და ბროლია
- მხატვრობა და ფოტოხელოვნება

ანდროკლე და ლომი

ლომს სიკეთის საოცარი გადახდა შეუძლია. აი, ამისი უტყუარი მაგალითი:

ძველ დროში რომის ერთი მებატონის მონამ*, სახელად ანდროკლემ, დანაშაული ჩაიდინა. სასჯელის შეეშინდა და შორეულ ქვეყანაში – აფრიკაში – გაიქცა, სადაც ბევრი ლომი ბინადრობდა და ახლაც ბინადრობს. რადგანაც ანდროკლეს დაჭერისა ეშინოდა, ამიტომ უდაბნოში გავიდა და იქ იმალებოდა. დიდი სიცხის დროს მან თავი შეაფარა ერთ გამოქვაბულს, მაგრამ ხიფათს ვერ ასცდა; იმავე გამოქვაბულში ცოტა ხნის შემდეგ უშველებელი ლომი შევიდა, თურმე იქ მისი ბუნაგი იყო. ანდროკლეს სიკვდილის ფერი დაედო.

როცა ლომმა დაუპატიჟებელი სტუმარი დაინახა თავის ბუნაგში, მშვიდობიანად მიუახლოვდა და მუხლზე დაადო თავისი დაჭრილი ფეხი, რომელიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი. ანდროკლე იმწამსვე მიხვდა ლომის სურვილს, გაუსინჯა დაჭრილი ფეხი და ამოუღო იქიდან გრძელი და წვეტიანი ეკალი. ლომმა შვება იგრძნო და ანდროკლეს ლოკვა და ლაქუცი დაუწყო ნიშნად მადლობისა. ლომმა ესეც არ იკმარა, ყოველთვის, როცა ნანადირევი მოჰქონდა, წილს ანდროკლეს სთავაზობდა. ასე იცხოვრა ორმა მეგობარმა მთელი სამი თვე.

ბოლოს ანდროკლემ გამოქვაბულში მარტოდმარტო ცხოვრება ვეღარ შეძლო და გარეთ გამოვიდა. იგი დაიჭირეს და რომში გაგზავნეს. მალე იგივე უბედურება ლომსაც ეწვია. ისიც დაიჭირეს და რომში წაიყვანეს. იქ, სხვა მხეცებთან ერთად, რომაელებისათვის ლომს სხვადასხვა სეირი უნდა ეჩვენებინა.

ანდროკლეს, როგორც დამნაშავე მონას, ლომებთან ბრძოლა მიუსაჯეს. ეს ბრძოლა, საზოგადოდ, დამნაშავის დაგლეჯით და სიკვდილით თავდებოდა. დანიშნულ დროს ანდროკლე გამოი-



ყვანეს საბრძოლო არენაზე* და იმწამსვე გამოუშვეს ლომებიც. ყველაზე დიდი და საშინელი ლომი მიუახლოვდა ანდროკლეს, მაგრამ მისი დაგლეჯის ნაცვლად ხალხს სრულიად სხვა სეირი აჩვენა: დაყნოსა კაცი, გარს შემოუარა და ფეხქვეშ გაუგორდა, თან ლოკვა და ლაქუცი დაუწყო. ეს ის ლომი იყო, რომელთანაც ანდროკლე გამოქვაბულში ცხოვრობდა.

ყველა მაცქერალს გული აუჩუყდა და სასიხარულო ჟრიამული შეიქნა. მონას დანაშაული აპატიეს და ეს ლომიც საჩუქრად მისცეს. სხვადასხვა წყაროდან ცნობილია, რომ ანდროკლეს ეს ცხოველთა მეფე დაჰყავდა რომის ქუჩებში და ხალხს აჩვენებდა. ხალხიც საარსებოდ ფულს უხვად აძლევდა მას და ლომს კი ყვავილებს აყრიდა ნიშნად გულითადი პატივისცემისა.

იაკობ გოგებაშვილი

უპასუხე შეკითხვებს

1. ვინ იყო ანდროკლე? რატომ გაიქცა ის რომიდან?

2. სად იმალებოდა ანდროკლე რომიდან გაქცევის შემდეგ?

3. რა ადასტურებს იმას, რომ ადამიანებს უჭირთ სიმარტოვე?

ტექსტის შინაარსი

4. შენი სიტყვებით გადმოეცი ანდროკლესა და ლომის ორივე შეხვედრა.

5. რა არის აღწერილი ამ ტექსტში? არჩეული პასუხი დაასაბუთე:

ა) ძველ დროში გამოგონილი ზღაპრული ამბავი;
ბ) მწერლის გამონაგონი, რომელიც სიმართლეს წააგავს;
გ) ნამდვილი ამბავი, რომელიც გადმოცემით არის ცნობილი.

6. რა გაიგე ტექსტიდან ძველი რომის შესახებ?

იმსჯელე

7. შენი აზრით, რა არის ავტორის მთავარი მიზანი? სად ჩანს ტექსტში, თუ რა განიზრახა მან?

დაწერე

8. შეადგინე ამ ტექსტის თხრობის გეგმა (გამოყავი 5 საკითხი).

გრამატიკა

9. იპოვე და გაასწორე შეცდომა:

ასე იცხოვრეს ორმა მეგობარმა მთელი სამი თვე.

დაწერე (დავალება)

10. სათანადო აბზაცების მიხედვით დაწერე თხზულება:
„ადამიანისა და ლომის დამეგობრება“

ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება

გრამატიკა

ზმნა და ახლანდელი დრო

დააკვირდი ზმნებს წინადადებებში:

ირემი დგას ერთ ადგილას გაჩერებული და ელოდება ბედისწერის განჩინებას. მგელი კი წყლის ტალღებს ქვემოთ მიაქვს...

ამ წინადადებებში მოქმედება ახლა ხდება, ზმნები **ახლანდელ დროშია**. შენ, ალბათ, გახსოვს, რომ ახლანდელ დროს მეორე სახელიც აქვს: **აწმყო**.

- რა კითხვა დაესმის ზმნას აწმყოში?

რას შვრება? ფიქრობს, შრომობს, სწავლობს, ისვენებს ...

ვაქციოთ ზმნად მოქმედების სახელი:

რა?	რას შვრება?
კერვა	კერავს
დავარცხნა	ივარცხნის
კითხვა	კითხულობს

დაწერე

1. გადაიწერე ტექსტი. ხაზი გაუსვი ყველა იმ ზმნას, რომელიც აწმყო დროშია:

ლომი კაცს გარს უვლის, თან ლოკავს და ყნოსავს, თითქოს ელაქუცება. ეს ის ლომია, რომელთანაც ანდროკლე გამოქვაბულში ცხოვრობდა. ყველა მაცქერალს გული უჩუყდება. მონას დანაშაული აპატიეს და ეს ლომიც საჩუქრად მისცეს.

2. დააკვირდი ნიმუშს და აქციე ზმნად სახელი:

რა?	**რას შვრება?**
განასკვა	**ნასკვავს**
მიბმა	**...**
გატეხა	**...**
გაკეთება	**...**
დამტვრევა	**...**
შეერთება	**...**

წიქარა

(ნაწყვეტი ქართული ხალხური ზღაპრიდან)

3.

ვაჟმა დაუკრა საჭირვარამო სალამური, დაუკრა და ააკვნესა. გაიგონა თუ არა წიქარამ სალამურის ხმა, მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული* ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი რომ უნდა გაეტეხა, ცალი რქა მოსტყდა! დაღონდა წიქარა, თავის რქას ისე არ ჩიოდა, როგორც მეგობრის ტყვეობას.

უცებ ერთი თაგვი გამოძვრა და უთხრა:

– რას მომცემ, რქა რომ მოგაბა, შენს ლეშს* ხომ მაჭმევო?

– გაჭმევო, – უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუმთელა რქა, ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც, შევიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზე მეგობარი და გაეშურა ალვის ხისკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზე და თავად ისევ მინდორში წავიდა.

იჯდა ვაჟი ალვის ხეზე, უკრავდა სალხინო სალამურს და ერთობოდა. უცებ წიქარა მოაგონდა და ნახვა მოუნდა. დაუკრა საჭირვარამო სალამური, მაგრამ წიქარა არ გამოჩნდა. რაღას იზამდა, წამოვიდა საძებნელად. ბევრი ეძება, ბოლოს ერთ კორდზე* მკვდარი იპოვა. დაემხო ვაჟი წიქარას და ატირდა. ისე გულსაკლავად ტიროდა, რომ მისი ცოდვით ბალახნიც ტიროდნენ, აღარ ირხეოდნენ, პეპლები აღარ ფრინავდნენ და ცრემლსა ღვრიდნენ.

– ვაიმე, ჩემო წიქარა, – მოსთქვამდა ვაჟი, – უშენოდ ახლა რაღა მეშველებაო.

ამ დროს საიდანღაც ის თაგვი გამოძვრა, წიქარას რომ რქა გაუმთელა, წიქარას ლეშის საჭმელად მოსულიყო თურმე. რომ დაინახა, ვაჟი ასე საცოდავად ტიროდა, უთხრა:

– რას მომცემ, წიქარა რომ გაგიცოცხლოო, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

– ოღონდ კი ჩემი წიქარა გააცოცხლე და გაჭმევო, – უთხრა ვაჟმა.

გაიქცა თაგვი, იქვე მიკრიფ-მოკრიფა რაღაც ბალახი, მოარბენინა, წიქარას წაუსვ-წამოუსვა და გააცოცხლა. მოეხვია ვაჟი ხარს, ეალერსება, თვალებს უკოცნის, წიქარაც პირს უთათუნებს ვაჟსა და ლოკავს.

– აბა, გეყოფათ, – უთხრა თაგვმა ვაჟს, მე უკვე კარგად მომშივდა, შენი სიკვდილის დროაო.

გაიქცა თაგვი, მოკრიფა სასიკვდილო ბალახი, მოიტანა და ვაჟს გაუწოდა. ვაჟს არ ეთმობოდა წიქარა, მაგრამ პირობა ხომ უნდა შეესრულებინა, სხვა რა გზა ჰქონდა!

ის იყო, ვაჟი უნდა შეხებოდა ბალახს, რომ თაგვმა უთხრა:

– მიპატიებია სიკვდილი, თქვენნაირი მეგობრები ჩემს დღეში არ მინახავს! იცოცხლეთ მარადო! – ვაჟი გონს ვერ მოსულიყო, რომ თაგვი გაქრა.

გახარებულმა წიქარამ შეისვა თავისი მეგობარი ზურგზე, წამოიღო სალამურები, გააქროლა ვაჟი ახლა სხვა ადგილას, სხვა მხარეში, სადაც არც შურიანი მეცხვარე იყო და არც კუდიანი დედაბერი, შესვა ერთ ალვის ხეზე და მისცა სალამურები, თვითონ კი მინდორში წავიდა. ვაჟი ახლაც იმ ალვის ხეზე ზის, უკრავს სალხინო სალამურს, თვითონაც ხარობს და მთელ ქვეყანასაც ახარებს. როცა წიქარას ნახვა მოუნდება, დაუკრავს საჭირვარამო სალამურს და წიქარაც მაშინვე იმასთან გაჩნდება ხოლმე.

უპასუხე შეკითხვებს

1. რატომ დაუკრა ვაჟმა საწირვარამო სალამური?
2. რა დაემართა წიქარას მეცხრე კლიტულის კართან?
3. რა პირობა წაუყენა მას თაგვმა?
4. ზღაპრის ამ ნაწილში რომელი ჯადოსნური საგანი გვხვდება?
5. ერთ ხალხურ ზღაპარში მრისხანე გველვეშაპი მეჩონგურის სიმღერამ მოალბო; აქ რა ძალამ მოულბო გული თაგვს?
6. მეჩონგურის სიმღერას ტყე და ფრინველები ყურს უგდებდნენ. ამ ზღაპარში „ვინ“ თანაუგრძნობს ატირებულ ვაჟს?

იმსჯელე

7. გაიხსენე სრულად ზღაპარი. რითი დაადასტურებ იმას, რომ ვაჟი და წიქარა თანაბრად ერთგულები არიან?
8. როგორ აღწერა მეზღაპრემ მხარე, სადაც წიქარამ ვაჟი გააქროლა?
9. რა არის „წიქარას“ მთავარი თემა? პასუხი დაასაბუთე.

   ა) სალამურის ძალა,
   ბ) მეგობრობის ძალა.

დაწერე (დავალება)

10. შეადგინე თხრობის გეგმა (6 საკითხით).
11. შენივე გეგმის მიხედვით დაწერე ზღაპრის ამ ნაწილის მოკლე შინაარსი.